№229 2016 წლის 11 თებერვალი ქ. თბილისი

„საქართველოს მთავრობის მხრიდან ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა) საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული საწევრო ხარჯებისა და არსებული დავალიანების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №808 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „საქართველოს მთავრობის მხრიდან ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში (დუბნა) საქართველოს მონაწილეობასთან დაკავშირებული საწევრო ხარჯებისა და არსებული დავალიანების დაფინანსების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 მაისის №808 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს მთავრობის მხრიდან ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან (დუბნა) წარდგენილი ინვოისის შესაბამისი დაფინანსება, კერძოდ, მიმდინარე საწევრო ხარჯებისა და არსებული დავალიანების გადარიცხვა უზრუნველყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - შოთა რუსთაველის ეროვნულმა

სამეცნიერო ფონდმა, წლიური საბიუჯეტო კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**